დამტკიცებულია სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2024 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის დებულება

მუხლი 1. საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანი

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის (შემდგომში - საკვალიფიკაციო გამოცდა) მიზანია კვალიფიციური იურისტების შერჩევა შემდგომში ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილედ რეგისტრაციისა და საადვოკატო საქმიანობაში მაღალი პროფესიული სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 2. საკვალიფიკაციო გამოცდა

2.1. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება საქართველოს სახელმწიფო ენაზე, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად გათვალისწინებული წესით, წელიწადში არანაკლებ ორჯერ.

2.2. საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამას, გამოცდაზე რეგისტრაციის წესს ამტკიცებს და გამოცდის ჩატარების თარიღსა და ადგილს განსაზღვრავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

2.3. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება საერთო ან ერთ-ერთი სისხლის ან/და სამოქალაქო/ადმინისტრაციული სპეციალიზაციის შესაბამისად.

2.4. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება მხოლოდ ელექტრონულად, საკვალიფიკაციო გამოცდისთვის შექმნილი საგამოცდო პორტალის - www.exams.gba.ge საშუალებით.

მუხლი 3. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლების მქონე პირები

3.1. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ნებისმიერ პირს.

3.2. ამ მუხლის 3.1. პუნქტით გათვალისწინებული დათქმის მიზნებისთვის იურიდიული განათლების მქონედ ითვლება პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამართლის ბაკალავრის, სამართლის მაგისტრის (მათ შორის - საჯარო/სისხლის/კერძო სამართლის) ან/და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. სამართლის მაგისტრის ან/და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი უნდა ფლობდეს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხსაც.

3.3. პირი, რომლესაც უმაღლესი იურიდიული განათლება მიღებული აქვს უცხოეთში, საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განათლების აღიარების შესახებ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე.

3.4. პირი, რომელიც ვერ აკმაყოფლებს ამ მუხლის 3.2. პუნქტით გათვალისწინებულ დათქმას, საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებლი დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების შესახებ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე.

მუხლი 4. რეგისტრაცია საკვალიფიკაციო გამოცდაზე

4.1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაცია ცხადდება საჯაროდ. ინფორმაცია ქვეყნდება ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდსა - www.gba.ge და საგამოცდო პორტალზე - www.exams.gba.ge საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე.

4.2. საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვრება თითოეული საკვალიფიკაციო გამოცდისთვის და რეგიტრაციის ვადის გასვლის შემდეგ სარეგისტრაციოდ წარდგენილი განაცხადები არ მიიღება.

4.3. რეგისტრაციის მიზნებისთვის სავალდებულოა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველი პირი დარეგისტრირდეს საგამოცდო პორტალზე - www.exams.gba.ge.

4.4. რეგისტრაციის მიზნებისთვის, სავალდებულოა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველმა პირმა, სარეგიტრაციოდ განსაზღვრულ ვადაში, სრულყოფილად შეავსოს სარეგისტრაციოდ განსაზღვრული მონაცემები, აირჩიოს სპეციალიზაცია, საგამოცდო ცენტრი და ატვირთოს შემდეგი პრერეკვიზიტები:

4.4.1. უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

4.4.2. პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

4.4.3. ფოტოსურათი (3/4 ფორმატი).

4.5. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველ პირს, ამ მუხლის 4.4. პუქნტით გათვალისწინებული მონაცემებისა და პრერეკვიზიტების შესაბამისობა ამ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან უდასტურდება ან უხარვეზდება პროგრამულად, პრერეკვიზიტების პროგრამულად ატვირთვიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

4.6. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველ პირს ამ მუხლის 4.5. პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, ხარვეზის გამოსასწორებლად ეძლევა ვადა სარეგიტრაციოდ განსაზღვრული დროის დასრულებამდე.

4.7. სარეგისტრაციო ვადაში, ამ მუხლის 4.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების არასრულად წარდგენის შემთხვევაში, რეგისტრაცია არ დადასტურდება.

4.8. სავალდებულოა, საკვალიფიკაციო გამოცდისთვის განსაზღვრული სარეგისტრაციო ვადის დასრულების შემდეგ, საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრირებულმა პირმა

პირველადი რეგისტრაციის პრინციპით, საგამოცდო პორტალით განსაზღვრულ ვადაში აირჩიოს საგამოცდო თარიღი.

მუხლი 5. საკვალიფიკაციო გამოცდის საფასური

5.1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურს განსაზღვრავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

5.2. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველი პირი საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისთვის იხდის საფასურს 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

5.3. საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურის გადახდა დასაშვებია მხოლოდ ელექტრონულად საგამოცდო პორტალის - www.exams.gba.ge საშუალებით, პროგრამულად ბალანსის შევსებისა და გადახდის ღილაკის მონიშვნით.

5.4. სავალდებულოა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველმა პირმა, საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურის გადახდა, საგამოცდო პორტალის - www.exams.gba.ge საშუალებით, დააფიქსიროს საკვალიფიკაციო გამოცდისთვის განსაზღვრულ სარეგისტრაციო ვადაში.

5.4. საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურისგან თავისუფლდება პირი რომელიც:

5.4.1. კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და წარმოადგენს აღნიშნულის დამადასტურებელ ოფიციალურ დოკუმენტს;

5.4.2. აღიარებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონედ და წარმოადგენს აღნიშნულის დამადასტურებელ ოფიციალურ დოკუმენტს;

5.5. სარეგისტრაციო ვადაში, ამ მუხლის 5.3. პუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადაუხდელობის ან/და არასრულად გადახდის შემთხვევაში, რეგისტრაცია არ დადასტურდება.

მუხლი 6. საკვალიფიკაციო გამოცდის ხანგრძლივობა და საგამოცდო კითხვების შეფასება

6.1. საკვალიფიკაციო გამოცდის ხანგრძლივობა შეადგენს 6 (ექვსი) საათს.

6.2. გამოსაცდელი, საგამოცდო პორტალის საშუალებით იღებს გაფრთხილებას საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ. საკვალიფიკაციო გამოცდისთვის განსაზღვრული დროის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო პორტალი აფიქსირებს და აფასებს გამოსაცდელის პასუხებს.

6.2. საგამოცდო ტესტი შეიცავს საკვალიფიკაციო გამოცდისთვის გათვალისწინებულ სამართლის შესაბამისი დარგების მიხედვით შედგენილ 100 (ასი) საგამოცდო ტესტურ არჩევით პასუხიან კითხვას.

6.3. თითოეული საგამოცდო კითხვა შედგება ორი ნაწილის პირობისა და ოთხი სავარაუდო პასუხისგან, საიდანაც მხოლოდ ერთი პასუხია სწორი.

6.4. თითოეული საგამოცდო კითხვაზე სწორი პასუხი ფასდება 1 (ერთი), არასწორი პასუხი 0 (ნული) ქულით.

6.5. საკვალიფიკაციო გამოცდის მინიმალური შეფასება არის 0 (ნული), ხოლო მაქსიმალური - 100 (ასი) ქულა.

6.6. მოანწილე რომელიც საკვალიფიკაციო გამოცდაში დააგროვებს 75 (სამოცდათხუთმეტი) ან მეტ ქულას, გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება.

6.7. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები, გამოცდის დასრულებისთანავე. ინდივიდუალურად ეცნობება თითოეულ მონაწილეს საგამოცდო პორტალის საშუალებით.

მუხლი 7. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადების დრო და ქცევის წესები

7.1. საკვალიფიკაციო გამოცდის მონაწილე, საგამოცდო დღეს უნდა გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე, წინასწარ განსაზღვრულ დროს, რომელიც ეცნობება საგამოცდო პორტალის საშუალებით და ადგილზე გაიაროს რეგისტრაცია.

7.2. საგამოცდო დღეს, რეგისტრაციის მიზნით, გამოცდის მონაწილემ თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი ან სხვა მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში პირი გამოცდაზე არ დაიშვება.

7.3. გამოცდის დაწყების შემდეგ, დაგვიანებით გამოცხადებული მონაწილე გამოცდაზე დაიშვება არაუმეტეს 2 საათის დაგვიანებით და ისარგებლებს მხოლოდ იმ დროით, რაც დარჩენილია საგამოცდო დროის დასრულებამდე.

7.4. საგამოცდო სივრცეში მონაწილე დაიშვება მხოლოდ რეგისტრაციისა და ნებისმიერ ტექნიკურ, მათ შორის საკომუნიკაციო საშუალებებზე სპეციალური დეტექტორით შემოწმების შემდგომ. საგამოცდო სივრცეში მონაწილეს შეუძლია დაიკავოს მისთვის სასურველი ნებისმიერი ადგილი.

7.5. გამოცდის მონაწილეს უფლება აქვს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში დატოვოს საგამოცდო სივრცე (საგამოცდო დარბაზი), მაგრამ არაუმეტეს ორჯერ. აღნიშნული დანაწესის დარღვევის შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება გამოცდიდან.

7.6. გამოცდის მონაწილეს საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას ეკრძალება ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების ან სხვა მსგავსი მასალის, ასევე, საწერი ფურცლებისა და წიგნაკების, კალმების, აუდიო ან სხვა ტექნიკური, მათ შორის საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება. აღნიშნული დანაწესის დარღვევის შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება გამოცდიდან.

7.7. მონაწილე, რომელიც დააღვევს ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს გაფრთხილების მიუხედავად, მოიხსნება გამოცდიდან და მას უფლება აქვს მონაწილეობა

მიიღოს მომდევნო საკვალიფიკაციო გამოცდაში, ხელახალი რეგისტრაციისა და საფასურის გადახდის საფუძველზე.

მუხლი 8. გამოცდაზე გამოუცხადებლობა

8.1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობა არ აძლევს გამოცდის მონაწილეს უფლებას მოითხოვოს დამატებითი გამოცდის ჩატარება, მიუხედავად იმისა, გამოცდაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული თუ არა.

8.2. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გამოცდის საფასური არ ექვემდებარება დაბრუნებას ანდა მომდევნო საკვალიფიკაციო გამოცდაზე გადატანას, გარდა იმ შემთხვევისა თუ მონაწილე წარმოადგენს საპატიო მიზეზის დამადასტურებელ ცნობას საგამოცდო დღემდე ანდა არაუგვიანეს საგამოცდო დღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 9. საგამოცდო სივრცეში შესვლის უფლება

9.1. საგამოცდო სივრცეში დაიშვებიან მხოლოდ გამოცდის მონაწილეები და ასოციაციის მიერ სპეციალურად განსაზღვრული პირები.

9.2. საგამოცდო სივრცეში უცხო პირთა შესვლა აკრძალულია.

მუხლი 10. საგამოცდო კითხვები

10.1. საგამოცდო კითხვების შემუშავებასა და რედაქტირებას უზრუნველყოფს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, დარგის შესაბამისად დამტკიცებული კვალიფიციურ ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა კონფიდენციალურია.

10.2. ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგამოცდო კითხვება იქმნება და მუშავდება თითოეული საგამოცდო სესიისთვის.

10.3. საგამოცდო პორტალი თითოეული გამოსაცდელისთვის უზრუნველყოფს საგამოცო კითხვების თანმიმდევრობის ინდივიდუალურად შედგენას.

10.4. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული საგამოცდო კითხვები არ არის საჯარო და დაუშვებელია კითხვების გასაჯაროება.

მუხლი 11. სერტიფიკატი

გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, საგამოცდო პორტალზე ელექტრონულად გენერირდება ბმული, რომლის საშუალებით შესაძლებელია გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატის მიღება და გაზიარება.

მუხლი 12. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების გასაჩივრება

12.1. გამოცდის მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს გამოცდის შედეგი.

12.2. გასაჩივრების სესიაზე მონაწილეობის მიზნით სავალდებულოა მონაწილემ საგამოცდო პორტალის საშუალებით, განსაზღვრულ ვადაში აირჩიოს გასაჩივრებისთვის განსაზღვრული თარიღი და დრო, წინააღმდეგ შემთხვევაში მონაწილე არ დაიშვება გასაჩივრების სესიაზე.

12.3. გამოცდის მონაწილე საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების გასაჩივრების მიზნით უნდა გამოცხადდეს გასაჩივრების სესიისთვის განსაზღვრულ ადგილზე, წინასწარ მისთვის განსაზღვრულ დროს, რომელიც ეცნობება საგამოცდო პორტალის საშუალებით და გაიაროს რეგისტრაცია.

12.4. რეგისტრაციის მიზნით, გასაჩივრების მონაწილემ თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი ან სხვა მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში პირი გასაჩივრების სესიაზე არ დაიშვება.

12.5. გასაჩივრების დაწყების შემდეგ, დაგვიანებით გამოცხადებული მონაწილე დაიშვება გასაჩივრების სესიაზე და ისარგებლებს მხოლოდ იმ დროით, რაც დარჩენილია გასაჩივრებისთვის განსაზღვრული დროის დასრულებამდე.

12.6. გასაჩივრების სესიისთვის განსაზღვრულ სივრცეში მონაწილე დაიშვება მხოლოდ რეგისტრაციისა და ნებისმიერი ტექნიკურ, მათ შორის საკომუნიკაციო საშუალებებზე სპეციალური დეტექტორით შემოწმების შემდგომ. გასაჩივრებისთვის განსაზღვრულ სივრცეში მონაწილეს შეუძლია დაიკავოს მისთვის სასურველი ნებისმიერი ადგილი.

12.7. გასაჩივრების სესიის ხანგრძლივობა შეადგენს 3 (სამი) საათს.

12.8. გასაჩივრების სესიის მონაწილეს უფლება აქვს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში დატოვოს გასაჩივრებისთვის განსაზღვრული სივრცე (საგამოცდო დარბაზი), მაგრამ არაუმეტეს ორჯერ. აღნიშნული დანაწესის დარღვევის შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება გასაჩევრების სესიიდან.

12.9. გასაჩივრების მსვლელობისას აკრძალულია საწერი ფურცლებისა და წიგნაკების, კალმების, აუდიო ან სხვა ტექნიკური, მათ შორის საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება.

12.10. გასაჩივრების მონაწილეს შეუძლია მხოლოდ იმ კითხვების გასაჩივრება, რომელზეც არასწორად აქვს პასუხი დაფიქსირებული.

12.11. გასაჩივრების მიზნებისთვის საგამოცდო კითხვების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

მუხლი 13. გასაჩივრების საფასური და საჩივრის განხილვა

13.1. ერთი გასაჩივრებული კითხვის საფასური შეადგენს 10 (ათი) ლარს.

13.2. გასაჩივრებული კითხვებისთვის საფასურის გადახდა ხორციელდება საგამოცდო პორტალის საშუალებით, გამოცდის მონაწილის პირადი კაბინეტიდან.

13.3. სავალდებულოა საჩივრის დასადასტურებლად განსაზღვრულ კონკრეტულ ვადაში, მონაწილემ საგამოცდო პორტალის საშუალებით დაადასტუროს საჩივარი და გადაიხადოს

გასაჩივრებული კითხვების რაოდენობის შესაბამისად განსაზღვრული საფასური, წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი არ განიხილება.

13.4. საჩივარს განიხილავს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, დარგის შესაბამისად დამტკიცებული კვალიფიციურ ექსპერტთა ჯგუფი, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. მონაწილეს შედეგი ეცნობება საგამოცდო პორტალის საშუალებით.

13.5. ადვოკატთა ასოციაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა კონფიდენციალურია და საჩივრის განხილვისას დაცულია ორმხრივი ანონიმურობის პრინციპი.

13.6. ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წესით, საგამოცდო პორტალზე შედეგების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.